

სამეზობლო ამერბაიჯანის მხარდ შეიარაღებას აკვირდება

Author: [Shahla Sultanova](#)
[Yekaterina Poghosyan](#)

სომხეთი, რომელსაც არ შეუძლია ამერბაიჯანს ფულის ხარჯვაში შეევიბროს, რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის იმედად რჩება.

ამერბაიჯანის სწრაფად მზარდი სამხედრო ძალა რეგიონში მღელვარების მიზეზი ხდება, ანალიტიკოსები კი თვლიან, რომ ეს გამბრდის კონფლიქტის განახლების რისკებს.

პრემიერდენტი ილჰამ ალიევი თავის გამოსვლებში ხშირად ტრაბახობს იმით, თუ რა მოცულობის თანხის დახარჯვა შეუძლია შეიარაღებაზე გაზიზღულ და ნავთობით მდიდარ მის ქვეყანას. 26 ივნისს გამართულ სამხედრო აღლუმზე სიტყვით გამოსვლისას მან ეს შესაძლებლობა არც ამჯერად გაუშვა ხელიდან და კიდევ ერთხელ შეახსენა ყველას, რომ ამერბაიჯანის თავდაცვის წლიური ბიუჯეტი, 3,7 მილიარდი აშშ დოლარი, თითქმის ორჯერ აღემატებოდა მეზობელი სომხეთის მთავრობის ბიუჯეტს ერთად აღებულს. მაშინ როცა, ათი წლის წინ ამერბაიჯანის თავდაცვაზე გამოყოფილი თანხა მხოლოდ 160 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.

„ბოლო წლებში ყველაზე თანამედროვე სამხედრო ტექნიკა შევისყიდეთ“, – განაცხადა ალიევმა თავის მიმართვაში აღლუმის დროს. „შევიძინეთ 100-მდე საბრძოლო და სატრანსპორტო შვედურ-ფინური, ათობით საბრძოლო თვითმფრინავი და ყველაზე თანამედროვე სამხედრო სისტემები. [ჩვენს] ჯავშანმანქანებს, ტანკებსა და საარტილერიო ქვემეხებს შეუძლიათ მტრის ნებისმიერი სამიზნის განადგურება.“

აღლუმზე ერთმანეთის მონაცვლეობით ჩნდებოდნენ ბრონირებული მანქანები, მათ შორის ბოლო დროს რუსეთისგან შეძენილი ახალი ტანკებიც, მოედნის თავზე 100 სამხედრო თვითმფრინავი დაფრინავდა, 40 სამხედრო გემი კი კასპიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ ჩამწყვირებულიყო.

ალიევმა აღნიშნა, რომ მძიმე ტექნიკის დანიშნულება არა მხოლოდ აღლუმზე დემონსტრირება, არამედ მისი სომხეთთან მთიანი ყარაბაღის ირგვლივ არსებული კონფლიქტის მოგვარებაა.

თავდაცვის საკითხებში ექსპერტი და ასევე „გადამდგარ და რეზერვში მყოფ ოფიცერთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი იაშარ ჯაფარლი ამბობს, რომ სამხედრო ტექნიკის შეძენა განხორციელდა იარაღის ტრადიციული მომწოდებლებისგან, როგორებიცაა რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, უმეტესწილად კი ისრაელი, თურქეთი, სამხრეთ აფრიკა და პაკისტანი.

ივნისის შუა რიცხვებში გაზეთ „ვედომოსტიში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ეწერა, რომ რუსეთმა ამერბაიჯანს ერთი მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ჯავშანმანქანა და საარტილერიო ქვემეხი მიჰყიდა.

ახალმა ამბავმა განსაკუთრებით აანერვიულა სომხეთის ხელისუფლება. აღმოჩნდა, რომ სომხეთის უახლოესი მოკავშირე, რომელიც ასევე უეთოს მედიაციის ჯგუფის ერთ-ერთი წევრია დიდი სიამოვნებით იღებდა ჯიბეში ამერბაიჯანისგან მიღებულ მოგებას.

რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს მდივანი ნიკოლაი პატრუშევი სომხეთში ვიზიტისას შეეცადა წარმოეჩინა, რომ იარაღის გაყიდვა იყო ჩვეულებრივი ბიზნესი და განაცხადა, რომ ეს არ მოახდენდა რეგიონში სამხედრო ბალანსის ცვლილებას.

გარიგებას დიდ მნიშვნელობას არც პატრუშევის სომეხი კოლეგა, არტურ ბაგდასარიანი, ანიჭებს.

„არ უნდა ჩავვარდეთ პანიკაში იმის გამო, რომ ამერბაიჯანმა რუსეთისგან იარაღი შეიძინა. ამერბაიჯანი იარაღს სხვა ქვეყნებისგანაც ყიდულობს. რუსეთს თავისი ურთიერთობები აქვს ამერბაიჯანთან და ამ ურთიერთობებს ის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ამყარებს“, – განაცხადა ბაგდასარიანმა.

რეგიონალური კვლევების ცენტრის დირექტორი რიჩარდ გირაკოსიანი აცხადებს, რომ რუსეთისგან იარაღის მასობრივი შესყიდვების გამო გაჩნდა შიში იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ძალთა სათუთი თანაფარდობა ამერბაიჯანის სასარგებლოდ გადაიხრება. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ამერბაიჯანს განზრახული აქვს ყარაბაღის დაბრუნება ძალის გამოყენებით.

მთიანი ყარაბაღი ტერიტორიულად საბჭოთა ამერბაიჯანის შენადგენლობაში შედიოდა, 1990 წლებში მომხდარი ომის შემდეგ კი ის ადგილობრივი სომხური ადმინისტრაციის მიერ კონტროლდება. ომი, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების საფუძველზე დასრულდა, თუმცა სამშვიდობო შეთანხმება დღემდე არ არსებობს.

„მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოება ამერბაიჯანის მიერ ბოლო დროს შეძენილი თავდასხმითი შეიარაღების თაობაზე დუმს, სავსებით ნათელი და დასაფიქრებელია ის, თუ როგორ ნაწილდება ძალთა ბალანსი სომხეთსა და ამერბაიჯანს შორის, რაც თავის თავად საფრთხეს უქმნის არამყარ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“, – აცხადებს გირაკოსიანი.

„ბოლო ორი წელი გამოირჩეოდა შეტაკებების რაოდენობის ზრდით ე.წ. „ურთიერთშეხების ხაზის“ გასწვრივ, რომელიც ერთგვარი გამყოფი ხაზია ყარაბაღისა და ამერბაიჯანის სამხედრო შენაერთებს შორის. საზღვრის დაახლოებით 1000 კილომეტრიან ზოლზე არაერთხელ დაფიქსირებულა სწრაფი მხრიდან ცეცხლის გახსნის შემთხვევები და ასევე ადგილი ჰქონდა შეტაკებებსაც. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რამდენად უსუსურია უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობა და როგორი ცვალებადია ძალთა ბალანსი. ამავე დროს, იზრდება საშიშროება, რომ მოხდება ლოკალიზებული კონფლიქტის ესკალაცია, რომელშიც უმაღლესი ნაწილებიანი დაინტერესებული გარე ძალები მათ შორის რუსეთი, თურქეთი და ირანიც კი“.

„არსებულ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს იმის საშიშროება, რომ ამერბაიჯანი უკვე მზადაა თავისი ბრძოლის გამოსაშვებად თავდასხმითი შეიარაღება გამოიყენოს“, – დასძინა გირაკოსიანმა.

18 ივნისს უეთოს მინსკის ჯგუფმა, რომელშიც შედიან რუსეთი, ამერიკა და საფრანგეთი, ერთობლივი განცხადება გაავრცელა და მოუწოდა ამერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებს ძალისა და შექარის გამოყენებლობის თაობაზე თავიანთი ვალდებულებების განახლებისკენ.

„ჩვენ მოვუწოდებთ მათ თავი შეიკავონ ნებისმიერი სახის მოქმედებისაგან ან რიტორიკისაგან, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს კონფლიქტის ესკალაციამდე“, – ნათქვამია განცხადებაში. „ლიდერები ხალხს მშვიდობისთვის უნდა ამბადებდნენ და არა ომისთვის“.

ეს განწყობა არ ასახულა პრემიერდენტ ალიევის გამოსვლაში აღლუმზე, რომელიც 8 დღის შემდეგ გაიმართა. მან ძალიან ნათლად განაცხადა, რომ ყარაბაღის კონფლიქტი ჯერ არ დასრულებულა.

„ჩვენი არმია მზად უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ნებისმიერ დროს და ნებისმიერი გზით“, –

განაცხადა მან.

მიუხედავად ამისა, ექსპერტი ჯაფარლი ირწმუნება, რომ მსგავსი საომარი რიტორიკა სულაც არ არის საგანგაშო. მისი თქმით, ამერბაიჯანის თავდაცვის უწყების ენთუზიამში შეიძინოს დიდი რაოდენობით უცხოური ძვირადღირებული იარაღი, განპირობებულია არა ომის დანაშაულის სურვილით, არამედ გარიგებების შედეგად „ნიღბის“ მიღების მცდელობით.

„ეს ყველაფერი დაკავშირებულია კორუფციასა და არალეგალურ საკომისიოებთან, რასაც პოსტსაბტოთა სივრცეში „შაპკას“ ეძახიან. შეიარაღება ძალიან ძვირი ბიზნესია და დიდი ფულის ჩადებას საჭიროებს. რაც უფრო დიდი თანხა გამოიყოფა, მით უფრო მეტი შანსი რჩება კორუფციას, ანუ „შაპკას“, – ამბობს ის.

„ამერბაიჯანი-ატლანტიკური თანამშრომლობის ასოციაციის“ ანალიტიკოსი ელხან მეჰდიევი ეთანხმება იმ აზრს, რომ დიდი რაოდენობით ძვირადღირებული კონტრაქტების ხელმოწერისას გადამწყვეტი ფაქტორი იყო კორუფცია.

„არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთი ანგარიში, მათ შორის არც პარლამენტში, იმის თაობაზე თუ რა შეიძინა მთავრობამ და რა თანხა დაიხარჯა ამისთვის“, – აცხადებს ის.

„სტოკჰოლმის მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებული წლიური ანგარიშის „იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო ტენდენციები“ მიხედვით, 2011-2012 წლებში ამერბაიჯანმა ისრაელისგან შეიძინა „ზედაპირი-ჰაერი“ კლასის საზენიტო და ხომალდსანინალმდგომ რაკეტები, სამხრეთ აფრიკისგან 60 ერთეული ბრონეტრანსპორტიორი, რუსეთისგან 39 სამხედრო შვეულმფრენი, თურქეთისგან 30 ერთეული ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარი და ასევე 16 უპილოტო თვითმფრინავი ისრაელისგან და კიდევ ათი ავსტრიისგან.

ეს მონაცემები არ მოიცავს იმ შესყიდვებს, რომლებზეც გამეთ „ვედომოსტიში“ იყო საუბარი. მათ შორისაა, საქვემეხო და სარაკეტო საარტილერიო დანადგარები, ქვეითი ჯარის ჯავშანტრანსპორტიორები, ყველაზე უკანასკნელი მოდელის 94 ერთეული T-90 ტიპის ტანკი, რომელიც არა აქვს სომხეთს.

სომხეთის ხელისუფლებას აღეგებს შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამერბაიჯანის მხარდ შეიარაღებას, თუმცა ამავე დროს მას უსაფრთხოების კუთხით თავისი დიდი ხნის პარტნიორის იმედი აქვს, მით უმეტეს, რომ რუსეთის დიდი სამხედრო ბაზა კვლავ ქალაქ გიუმრიში რჩება.

თავდაცვის მინისტრი სეირან ოპანიანი აცხადებს, რომ მისი ქვეყანა არ აპირებს მონაწილეობის მიღებას შეარაღებისთვის ბრძოლაში, თუმცა აპირებს თვალის ადევნოს მოვლენების განვითარებას.

„ამერბაიჯანის შეიარაღება არ შეიძლება არ გვაღელვებდეს“, – განუცხადა მან ჟურნალისტებს გასულ თვეს. „თუმცა არ უნდა დაგვაკინყდეს, რომ რუსეთთან ჩვენი თანამშრომლობა ისეთ მაღალ დონეზეა, რომ ჩვენ შეგვიძლია რეგიონში პოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნება არა მხოლოდ რიცხობრივად, არამედ ხარისხობრივადაც“.

„მოსკოვის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის“ ანალიტიკოსი და ექსპერტი კავკასიის საკითხებში სერგეი მარკედონოვი ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს და ამბობს, რომ მოსკოვის და სომხეთის ურთიერთობები ფუნდამენტურად განსხვავდება იმ სავაჭრო კავშირებისგან, რაც რუსეთსა და ამერბაიჯანს გააჩნია.

„მოსკოვი ამერბაიჯანთან ურთიერთობას განიხილავს როგორც სტრატეგიულ პარტნიორობას, ხოლო სომხეთთან როგორც სტრატეგიულ მოკავშირეობას. ეს ნიშნავს, რომ რუსეთი ამერბაიჯანზე იარაღს მოგების მიღების მიზნით ყიდის, სომხეთს კი „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის“ ფარგლებში იარაღს დაბალ ფასად ანვდის“, – ამბობს ის. „უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთისა და ამერბაიჯანის ურთიერთობებს ბაზარი აკავშირებს, ხოლო რუსეთისა და სომხეთის- ალიანსი“.

რაჩია პეტროსიანცი, სამხედრო ექსპერტი, რომელსაც მჭიდრო კავშირები აქვს სომხეთის თავდაცვის სამინისტროში აცხადებს, რომ მისი ქვეყანა უფრო მეტი იარაღის შესყიდვას ახორციელებს.

„მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისაგან შესყიდული იარაღით რეგიონში შეიარაღების ბალანსი არ ირღვევა, ჩვენ მაინც სიფრთხილე გვმართებს. სომხეთიც ყიდულობს იარაღს და აძლიერებს თავის არსენალს განსაკუთრებით, სარაკეტო არტილერიის სისტემებით“, – ამბობს ის. „ამასთან ერთად, პოლონეთთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ვახდენთ T-72 ტანკების მოდერნიზებას. ისინი თავისი კლასით ბევრად უსწრებს ამერბაიჯანის მიერ ნაყიდ T-90 ტიპის ტანკებს“.

პეტროსიანცის თქმით, იმისთვის რომ მოხდეს არსებული შეიარაღების მაქსიმალურად სრულყოფილი გამოყენება, საჭიროა უფრო მეტი თანხა გამოიყოს სომხური ჯარის გასანვრთნელად.

ეკატერინა პოლსიანი, საინფორმაციო სააგენტო „მედიამაქსის“ რეპორტიორია ერევანში.

შაჰლა სულთანოვა, თავისუფალი ჟურნალისტი ბაქოში.

Location: [Armenia](#)
[Azerbaijan](#)
[Karabakh](#)

Source URL: <https://iwpr.net/ka/global-voices/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1>